PDF Eraser Free

*დანართი №1*



# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# "სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში"
# პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია"
# პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** ქეთევან ანთაძე

**წევრები:** ნინო გორგოშაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

**სახე**:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე:</u>***

- [x] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
  - [ ] გეგმიური
  - [ ] არაგეგმიური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარდგენილ იქნა განაცხადი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ, ქალაქ ბათუმსა (რუსთაველის გამზირი N 53) და ფოთში (წმ. გიორგის ქ. N 24), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, რის საფუძველზეც, ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის № 015118 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ ''სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია''-ში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" და ''ბ.დ'' კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმება ქალაქ ბათუმსა (რუსთაველის გამზირი N 53) და ფოთში (წმ. გიორგის № 24).

ბათუმის საზღვაო აკადემიის სტრუქტურული ერთეულია პროფესიული მომზადების ცენტრი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ცენტრის მიზანია  დაინტერესებულ პირთა უზრუნველყოფა შრომის  შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლებით.  ფოთის ფილიალი-ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ექვემდებარება აკადემიის რექტორის ერთ-ერთ მოადგილეს. საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის, ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის როგორც მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და სხვა საკითხებს, ისე  სტრუქტურას  განსაზღვრავს დებულება, რომლის თანახმადაც ცენტრს ჰყავს ცენტრის უფროსი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ცენტრის სტრუქტურა შედგება: ადმინისტრაციული სამმართველოს, საწვრთნელი ცენტრის, საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოსა და ბიბლიოთეკისგან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აკადემიაში სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება შიდა ნორმატიული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, რომელიც ვრცელდება როგორც ბათუმის პროფესიული მომზადების ცენტრზე, ასევე ფოთის ფილიალზე. ფოთის ფილიალს ჰყავს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი ფილიალის პერსონალით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა ასევე ხორციელდება ერთიანი ნორმატიული დოკუმენტით. აკადემიაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტები თანაბრად ვრცელდება ფოთსა და ბათუმზე. ფოთის ფილიალის თანამშრომლები ანგარიშვალდებული არიან ცენტრის უფროსისა და შესაბამისის სტრუქტურული ერთეულის (ფილიალის სამმართველოს) უფროსის წინაშე. მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შერულებისას ასევე აკადემიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებულად ახორციელებენ ცალკეულ ქმედებებს.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საქმისწარმოება მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით. ფოთის ფილიალის თანამშრომლები ჩართული არიან სისტემაში. ფოთის ფილიალის კანცელარიაზე პასუხისმგებელი პირი აკადემიის კანცელარიასთან ერთად მუშაობს კოორდინირებულად და აქვს შესაბამისი წვდომა დეს პროგრამის ადმინისტრატორის ფუნქციით, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად განახორციელოს დოკუმენტაციის მიღება/გაცემა/გატარება.

წარმოების ფარგლებში, საზღვაო აკადემიამ განაცხადი შემოიტანა პროგრამის ‘’გემის საგემბანე ექსპლუატაცია’’ ფარგლებში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით 15 პროფესიული სტუდენტის დამატების შესახებ. კვოტის გაზრდის ძირითადი მიზეზი, როგორც დაწესებულებამ განმარტა არის ბოლო წლებში მომართვიანობის გაზრდილი რაოდენობა. ამასთან დაკავშირებით მათ წარმოადგინეს დარეგისტრირებულ მსურველთა სტატისტიკა ბოლო წლების განმავლობაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე 2021 წელს გამოცხადებულ მიღებაზე, დაფიქსირდა სწავლის მსურველთა განსაკუთრებით მაღალი აქტივობა. კერძოდ, არსებულ 30 ადგილზე დარეგისტრირდა - 347 აპლიკანტი. გარდა ამისა, ირკვევა, რომ გემბანის მეზღვაურის დასაქმებაზე გაზრდილია ვაკანსიები და მაღალია მოთხოვნა გამოცდილ კადრებზე.

დაწესებულებს პროგრამის ‘’ გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია’’ ფარგლებში, ამ ეტაპზე, ჰყავს 30 აქტიური სტუდენტი, რომელზეც ამ წარმოების ფარგლებში სურს რომ კვოტა გაზარდოს კიდევ 15 პროფესიული სტუდენტით (სულ - 45). რისთვისაც, წინა წარმოების შემდგომ დაწესებულებამ დაიმატა როგორც მატერიალური ისე ადამიანური რესურსი, ხოლო კვოტის გაზრდის შემთხვევაში დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას პროგრამისთვის საჭირო იმ რესურსებით, რომლებიც ამ ეტაპისთვის გააჩნია. შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ‘’გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია’’ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ეყრდნობა შესაბამის მეთოდოლოგიას, სასწავლო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პრაქტიკის გამტარუნარიანობას.

აღსანიშნავია ის, რომ წინა წარმოების ფარგლებში, მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტთან მიმართებაში, დაფიქსირებული იყო სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ 2.2.1 კრიტერიუმის 1-ელი და მე-3 ინდიკატორი შეფასდა, როგორც “არ შეესაბამება“, გამომდინარე იქედან, რომ 1-ელი ინდიკატორის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით (მაგიდები, სკამები, პოსტერები, რუკები და სხვა) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ამასთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არ ითვალისწინებდა ამ კუთხით აქტივობას. ხოლო, მე-3 ინდიკატორის ფარგლებში, მოდულის „ნავიგაცია დამხმარე დონეზე“ განმახორციელებელ პირს ჰქონდა მხოლოდ თევსაჭერი გემის შკიპერისა და გემთმექანიკოსის კვალიფიკაცია, მაგრამ არ ჰქონდა გემთწამყვანის კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება, რაც აუცილებელი იყო მოდულის განხორციელებისთვის, ხოლო მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლებელი იყო პირის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურება.

ხოლო ამ წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან, აღნიშნული კომპონენტები შეფასდა „სრულ შესაბამისად“. დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყო სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, რასაც სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის ხელი არ შეუშლია. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" და ‘’ბ.დ’’ კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით, 2022 წლის 4 თებერვალს დაწესებულებაში განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მასალები, შეიმუშავა დღის წესრიგი, რის მიხედვითაც მოხდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის დათვალიერება, გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა - არ დაფიქსირებულა

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შემოწმება კავშირშია მიმდინარე წარმოებასთან

*შესაბამისობის რეკომენდაციები:*

***ინდიკატორი 2.1.1 – 1*** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანის მიზნით რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კოორდინირებას უწევს პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიაში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებაზე, მიზანშეწონილია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს - **გათვალისწინებულია**

***ინდიკატორი 2.2.1 – 3*** მოდულის „ნავიგაცია დამხმარე დონეზე“ განმახორციელებელ პირს აქვს თევსაჭერი გემის შკიპერისა და გემთმექანიკოსის კვალიფიკაცია, მაგრამ არ აქვს გემთწამყვანის კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ნავიგაცია დამხმარე დონეზე მოდული განახორციელოს იმ პროფესიული განათლების მასწავლებელმა, რომელსაც აქვს გემთწამყვანის კვალიფიკაცია და გამოცდილება - **გათვალისწინებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

***<u>განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>***

***ინდიკატორი 2.1.1. - 8.*** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ცხრილი „უცხოური ენის“ მოდულის სახელწოდების ნაცვლად მიუთითებს „ინგლისური ენის“ მოდულს. - **შესრულებულია**
- პროგრამა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას“. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირებას ახდენს და ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ადაპტირების შემდეგ, დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ტერმინი „პროგრამა“; - **შესრულებულია**

- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს:

„დანართი 1.1 - პროგრამა;
დანართი 1.2 - ადაპტირებული მოდულები;
დანართი 1.3 - სასწავლო გეგმა.“

სასურველია თითოეული დანართის შესახებ ინფორმაციას მოიცავდეს პროგრამა, მით უფრო, რომ თითოეულ მოდულს მითითებული აქვს შესაბამისი დანართის ნომერი. მაგალითად მოდული „გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ არის დანართი 8, მოდული „საწარმოო პრაქტიკა - გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის“ არის დანართი 15. ასევე, სასურველია პროგრამას დანართის სახით გაწერილი ჰქონდეს სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსზე და საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე ინფორმაცია. - **შესრულებულია**

- ზოგადი მოდულები დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს საბაზო განათლებას. დაშვების წინაპირობის მითითების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გარეშეა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი. ასევე, დაწესებულებას ზოგადი ინფორმაციის ნაწილში ცვლილებების განხორციელების უფლება არ აქვს, ამიტომ იმავე შინაარსით უნდა იყოს მოდულები წარმოდგენილი, როგორც ეს ცენტრის დირექტორის ბრძანებითაა დამტკიცებული. - **შესრულებულია**

- ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოდული სარეგისტრაციო ნომრით „0230101“ არის უცხოური ენის მოდული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოდულს ამავე სარეგისტრაციო ნომრით ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მითითებული აქვს „ინგლისური ენა“. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას უფლება არ აქვს ცვლილება შეიტანოს ზოგადი ინფორმაციის ნაწილში, უცხო ენის კონკრეტიზაცია შესაძლებელია მოდულის თავფურცელზე. - **შესრულებულია**
- მოდულს „გემის ტექნიკური მომსახურება“ არ აქვს გაწერილი მოდულის განმახორციელებლებზე ინფორმაცია, როგორც ეს სხვა დანარჩენ მოდულების შემთხვევაშია. - **შესრულებულია**
- მოდულში „ქართული ენა A2” ჩარჩენილია სიტყვა სარეკომენდაციო. მაგალითად, „სწავლის შედეგის შესაბამისი სარეკომენდაციო თემატიკა“, „სწავლების სარეკომენდაციო მეთოდები“. - **შესრულებულია**
- სასურველია ქართული ენის მოდულს შესაბამისი დონის სასწავლო რესურსი დაემატოს, რადგან ძირითადად გრამატიკის სახელმძღვანელოებია მითითებული. შესაბამისად, შესაძლებელია მოდულს სასწავლო რესურსად დამატებით მიეთითოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდულში მითითებული ორი ელექტრონული სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელო და სასწავლო რვეული). პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას. - **შესრულებულია**

***ინდიკატორი 2.2.1 – 1.*** წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ფოთში პროგრამის განხორციელების ადგილზე არის ცეცხლმაქრები, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, თუმცა თავად ხანძართან ბრძოლის ტრენაჟორი არ არის და როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ამ კონკრეტულ წვრთნას ისინი ჩაატარებენ ბათუმის ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორზე. ასევე, წყალში გადარჩენის პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად მეცადინეობები ჩატარდება აუზში, სადაც შესაძლებელია წყალში ხტომა სიმაღლიდან, გადაადგილება, სამაშველო ნავში/ტივში ჩასხდომა ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით, ასევე სამაშველო ნავის/ტივის ჩაშვება და მოდულით გათვალისწინებული სხვა დავალებების შესრულება, თუმცა დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული განხორციელების ადგილად ბათუმი თავის მოდულებში ან სხვა რაიმე დოკუმენტში. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოდულში განსაზღვროს მოდულით მოთხოვნილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო პრატიკული წვრთნების განხორციელების ადგილი. - ***ნაწილობრივ შესრულებულია,*** *კერძოდ მოდულში "გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა" (პროგრამის დანართი #8) მითითებულია მხოლოდ ფოთის მისამართი,* თუმცა სწავლის-სწავლების განხორციელების მიდგომებში აღწერილია დეტალურად ის ინფრასტრუქტურა, რაც გამოიყენება აღნიშნული მოდულის განხორციელებისთვის. მახასიათებლებით აღწერენ ბათუმში არსებულ ტრენაჟორებასა და აუზსს, თუმცა დამატებითი მისამართის მითითება დანართ #8-ში გამორჩენილი აქვთ და სასურველია ესეც დაემატოს

***ინდიკატორი 2.2.1 - 3.*** სასურველია პოტენციურ პროგრამის განმახორციელებელთა ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მოდულების ადაპტირების ეტაპზე იყოს მაღალი და მათ ინფორმაცია ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რა სახის ცვლილებების განხორციელების უფლება აქვთ მოდულში. ამისთვის, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეიმუშავოს გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, სადაც ამ კუთხით იქნება ინფორმაცია გაწერილი. ასევე, მათთვის განახორციელოს ტრენინგები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტებისა და კალენდარული გეგმების შემუშავების შესახებ. ასევე, მიზანშეწონილია აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი იყოს სპეციალური ინგლისურის მოდულის განმახორციელებლებისთვის, საზღვაო ინგლისური ენის ტერმინოლოგიისა და სწავლების მეთოდების გაცნობა. - **შესრულებულია**

***ინდიკატორი 2.2.1 - 4.*** პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია წინარე ხელშეკრულებაში. სასურველია დაწესებულებამ კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც იქნება რომელიმე მარეგულირებელი დოკუმენტის ნაწილი. - **შესრულებულია**

***ინდიკატორი 2.2.1 - 5.*** პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს არ აქვთ მითითებული, რომ ბიბლიოთეკაში დაცულია მისი ელექტრონული ვერსია. შესაბამისად, სასურველია მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს მითითებული ჰქონდეს, რომ ეს არის ელექტრონული ვერსია. - **შესრულებულია**

***ინდიკატორი 2.2.1 - 7.*** პროგრამაზე რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 7 მსმენელი. სასურველია მსმენელის ნაცვლად, დაწესებულების მიერ გამოყენებული იყოს ტერმინი - პროფესიული სტუდენტი, რადგან მსმენელი აღნიშნავს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამის მონაწილეს. - **არ არის შესრულებული**

***ინდიკატორი 2.4.1 - 4.*** ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები. დაწესებულების მიერ ინდივიდუალურ საჭიროებად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განიხილება შეზღუდული შესაძლებლობები, პროგრამაში ცვლილება ან მისი გაუქმება. სასურველია ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილებოდეს ყველა ისეთი შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უნდა უზრუნველყოფდეს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ასევე, სასურველია აღნიშნული წესი არ იყოს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესში. - **შესრულებულია**

***ინდიკატორი 2.4.1 - 5.*** ფოთის საზღვაო ნავსადგურთან გაფორმებული მემორანდუმის გარდა, სასურველია გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს, გაწერილი იყოს მოდულები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა. წარმოდგენილ მემორანდუმებიდან მხოლოდ ფოთის APM ტერმინალთან გაფორმებულ მემორანდუმით არის ფოთის სასწავლო საწვრთნელი ცენტრი მითითებული. დანარჩენი მემორანდუმები გაფორმებულია 2018 წელს აკადემიის ბათუმის პროფესიული ცენტრისთვის. მემორანდუმებში მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მაგრამ არ არის აღნიშნული კონკრეტულად რომელ გემებს სთავაზობს კომპანია პრაქტიკის გავლისთვის. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განაახლოს პრაქტიკის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები და მას დამატებით დაურთოს იმ გემების სია, გემების მახასიათებლების მითითებით, სადაც მოხდება პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკის გავლა. - **შესრულებული**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

*ინდიკატორი 2.4.2 - 1*. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების საკითხები, შეფასების ინსტრუმენტის შიდა მონიტორინგის მექანიზმები, სწავლის შედეგების გასაჩივრების პროცედურა, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. სასურველია აღნიშნულ რეგულაციაში დამატებით გაწერილი იყოს შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ რა ვადებში ხდება პროფესიული სტუდენტის ინფორმირება, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს უფლება გავიდეს განმეორებით შეფასებაზე, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს, უკვე გამოყენებული თუ ახალი; <u>სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების პროცედურაში გაწერილი იყოს, რა ვადაში ახდენს საჩივრის განხილვასა და შესაბამისი დასკვნის შემუშავებას ცენტრის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.</u>

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ასევე გაწერილია, რომ უარყოფითი შედეგის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე, თუკი ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აითვისოს წინმსწრები მოდული მომდევნო მოდულის დაწყებამდე, ან აითვისოს ორივე მოდული (წინმსწრები და მომდევნო) პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების ათვისების შემდეგ მომდევნო ჯგუფთან. ასევე, თუ სტუდენტი შედეგის დადასტურებაზე ვერ გამოცხადდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს შეფასების აღდგენის თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრის უფროსს აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღისა. ამავე რეგულაციით ასევე გაწერილია, რომ სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე შესაძლებელია ერთი მიმართულების რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება (შედეგების გაერთიანება). თუ პროფესიული სტუდენტი ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით ვერ გამოცხადდა მოდულის ბოლოს, თუნდაც ბოლო სწავლის შედეგის შეფასებაზე, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, მას ისედაც აქვს უფლება გავიდეს განმეორებით შეფასებაზე. წარმოდგენილი სასწავლო გეგმით წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის გათვალისწინებულია ორკვირიანი ინტერვალი, ხოლო საწარმოო პრაქტიკის მოდულისთვის სამკვირიანი ინტერვალი. სწავლის შედეგის დადასტურებაზე ვერგამოცხადების შესაბამისი მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღის გათვალისწინებით, ორკვირიანი ინტერვალის შემთხვევაში სტუდენტი ვერ დაიშვება იმ მოდულზე, რომელიც წარმოადგენს სხვა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობას. ასევე, არაა გაწერილი, რა ვადებში ხდება საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების აღდგენა. ასევე, ამ შემთხვევაში ვრცელდება თუ არა ამავე წესის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნები (ფაქტიურად მე-13 პუნქტი არაა, რადგან მე-8 მუხლი იწყება მე-7 პუნქტით). ამავე რეგულაციაში ვხვდებით რამდენიმე ტექნიკურ ხარვეზს. კერძოდ, სხვადასხვა მიმართებები სხვადასხვა მუხლებსა თუ პუნქტებსშორის არასწორია, სხვადასხვა მუხლის მოთხოვნათა გავრცელების საკითხების მითითებისას, არასწორადაა მუხლი, ან/და__პუნქტი გაწერილი და სხვა. ასევე, რეგულაციებში ვხვდებით პროფესიული განათლებისთვის შეუსაბამო ტერმინებს. მაგალითად, აკრედიტაცია, აკრედიტირებული დაწესებულება, მოწვეული მასწავლებელი, მოდულის ათვისება, აბიტურიენტი, სემესტრი და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში საზღვაო აკადემიის შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შემდეგი არჩევანის საშუალება:

- პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებულ პროგრამაზე;
- პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სასურველია აღნიშნულ რეგულაციაში იკვეთებოდეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამა დაასრულოს მილევად რეჟიმში.

სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი სრულად გადაიხედოს, რადგან მათში გაწერილი წესები და ვადები სრულად გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან, ასევე კანონმდებლობიდან და დაეყრდნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N120/ნ ბრძანებას „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებას „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების“ შესახებ და 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებას „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ დამტკიცების შესახებ. ასევე, კანონმდებლობიდან გამომდინარე, გამოიყენოს პროფესიულ განათლებაში გამოყენებული ტერმინები ისე, რომ არ იკვეთებოდეს ბმა უმაღლეს განათლებაში გამოყენებულ ტერმინებთან. - **შესრულებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*ინდიკატორი 2.4.2 - 2.* გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით, რადგან გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელ პირთან. გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცებულებათა ვერიფიკაცია ხდება შერჩევით, უარყოფითი შედეგების დაფიქსირების შემთხვევაში სასურველია გაწერილი იყოს, რა ნაბიჯები გადაიდგმება ამის შემდეგ დაწესებულების მიერ. მაგალითად, მტკიცებულებათა შერჩევის ზომა გაიზრდება თუ სხვა. სასურველია რეგულაციით დამატებით გაწერილი იყოს, ვინ ახდენს ვერიფიკაციის დასკვნის შემუშავებას, ვისთან ხდება დასკვნის განხილვა, რა შემთხვევაში მუშავდება სამოქმედო გეგმა და სხვა. ასევე, სასურველია რეგულაციაში გასწორდეს გამოყენებული ტერმინები. - **შესრულებულია**

*ინდიკატორი 2.4.2 - 4*. ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შეფასების დასრულების შემდეგ პროფესიული მასწავლებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ანალიზის საფუძველზე, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შედეგების შესახებ, აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნული არ იკვეთება რეგულაციით. შესაბამისად, მიზანშეწონილია არსებული პრაქტიკა რეგულაციითაც დასტურდებოდეს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ რეგულაციაში ამ მხრივ ცვლილებების განხორციელება დაწყებულია, თუმცა ეს პროცესი წარმოების ფარგლებში დასრულებული არ იყო. - **შესრულებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

## X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

***ინდიკატორი 2.2.1 - 3*** *- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის დამატებითი ტრენინგების ჩატარება ისეთ თემებზე, როგორიცაა: სწავლების ეფექტური მეთოდები პროფესიულ განათლებაში, შეფასების სიტემა, სასწავლო პროცესი, ინსტრუმენტისა და მტკიცებულების გამოყენება.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

***ინდიკატორი 2.2.1 - 6*** *დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს სასწავლო რესურსების ადაპტაციის პრაქტიკა, მაგრამ ექსპერტთა მოსაზრებით და დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.*

*ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სსსმ პირებისთვის, სასწავლო პროცესში შესაბამისი სპეციალისტების: ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული სტუდენტის ასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების ჩართვა, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, გაითვალისწინოს, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად).* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XI. სტანდარტების შეფასება

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სენატის გადაწყვეტილება №16/4 26.11.2021 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ფოთი, წმ. გიორგის № 24<br>ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. № 53; |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | ქ. ფოთი, წმ. გიორგის № 24<br>ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. № 53; |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 45 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 91 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 106 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | ☒ |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | ☒ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

„ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' სწავლების უფლება მოპოვებული აქვს ავტორიზაციის გზით 2021 წელს 30 პროფესიული სტუდენტისთვის. ამჟამად, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს, პროგრამის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი 15 პროფესიული სტუდენტის დამატების შესახებ, ჯამში ზღვრული რაოდენობის გაზრდა 45 პროფესიულ სტუდენტამდე.

აღსანიშნავია, რომ წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც ''არ შეესაბამება'', გამომდინარე იქედან, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, აკადემიის ფოთის ფილიალის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში, არ იყო საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მაგიდები, სკამები, პოსტერები, რუკები) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კერძოდ, სასწავლო გარემოებში განთავსებული იყო, აღჭურვილობებთან ერთად, პროფესიულ სტუდენტთათვის სამუშაო მაგიდა და სკამი, თუმცა მათი რაოდენობა არ იყო საკმარისი, რადგან არ გამომდინარეობდა პროგრამაზე მოთხოვნილ ზღვრული რაოდენობიდან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2021 წლის 02 აპრილის N319453 წერილი, რომლითაც ირკვეოდა, რომ სააგენტოსა და ერთ-ერთ ორგანიზაციას შორის გაფორმებული იყო ხელშეკრულება სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვაზე, მაგრამ ეს პროცესი დასრულებული არ იყო. ასევე, პროგრამის ფარგლებში არ დასტურდებოდა გარკვეული მატერიალური რესურსის, პოსტერების, რუკების ფლობა. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი არ იყო დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, გარდა ამისა, დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა, წინა წარმოების ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

ხოლო, ამ წარმოების ფარგლებში, დგინდება, რომ პრობლემა აღმოფხვრილია და კვოტის გაზრდის შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება, დაწესებულების / პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამში 45 პროფესიული სტუდენტი).

დაწესებულებას აქვს მდიდარი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, პროგრამის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. პროგრამის, როგორც თეორიულის ასევე პრაქტიკულის ძირითადი ნაწილი ხორციელდება ქ. ფოთში, წმინდა გიორგის ქ.24. ხოლო პროგრამის ერთ-ერთი მოდულის - გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის - გარკვეული პრაქტიკული კომპონენტის წვრთნებისთვის, დაწესებულება იყენებს ბათუმის მისამართზე არსებულ ინფრასტრუქტურას. კერძოდ, პირადი გადარჩენის მეთოდების შესწავლასა და შესაბამისი პრაქტიკული წვრთნებისთვის შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილ აუზს, ხოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხანძარსაწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდების შესწავლისათვის - ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორს. სასწავლებლის აუზი არის თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი, რომლის ზომაა 22მX12მ და 3.2 მ სიღრმის, მას გააჩნია სიმაღლიდან ხტომის პლატფორმა. შენობაში განთავსებულია სამაშველო ტივი, თერმოკუსტიუმები, სამაშველო კატარღა, სამაშველო ჟილეტები, რაც მოითხოვება აღნიშნული მოდულით. შენობაში განთავსებულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოსტერები და პლაკატები. ასევე შესაბამისი სტანდარტებითაა აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ტიპის ხანძარმაქრები, წყლის მიწოდები შლანგები, ხანძრარსაწინააღმდეგო ტანსაცმელი.

პროგრამის ფარგლებში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ''ფოთის ფილიალის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრს" აქვს A, B და C სასწავლო/სამუშაო გარემო. A გარემოსთვის გამოყოფილია ორი აუდიტორია 106, 107 (რომლებიც გათვლილია 20-20 პროფესიულ სტუდენტზე - და საჭიროების შემთხევაში აუდიტორიებში სწავლას განახორციელებენ მიღებაზე ორ ცვლაში), სამი B გარემო: 111, 310, 311 - თითოეული გათვლილია 15 სტუდენტზე, და აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით. აუდიტორიებში განთავსებულია მასწავლებლისთვის კომპიუტერები, პროექტორები, სასწავლო თვალსაჩინოების პლაკატები.

სამივე აუდიტორიას ორ ცვლაში აქვს 90 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობა, ხოლო საერთო ჯამში დაწესებულების A და B გარემოების რაოდენობა, სხვა პროგრამების გათვალისწინებით, სრულად არის საკმარისი, სრული დატვირთვის შემთხვევაში, ყველა პროფესიული სტუდენტის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის C აკადემიის ფოთის ფილიალის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში გამოყოფილია 210, 211 აუდიტორიები. C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები და საწვრთნელი ტრენაჟორები, სამაშველო ტივი, გემის ხიდურის სიმულატორი, რადიოლოკაციური სიმულატორი, პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო მულაჟები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, სამღებრო საქმის შესწავლისთვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა და სხვა.

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს როგორც პროგრამით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ პირობებსა და რეგულაციებს. საერთო ჯამში, გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები ჯამში 45 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის.

პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან:
ბლექ სი შიპინგი - წლის განმავლობაში 60 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უზრუნველყოფა;
გემი სი სტარი - წლის განმავლობაში 60 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უზრუნველყოფა;
ფოთის საზღვაო ნავსადგურთან - 30 პროფესიულ სტუდენტზე პრაქტიკის უზრუნველყოფა;
ჰიდროგრაფიის სამსახური - 15 პროფესიულ სტუდენტზე პრაქტიკის უზრუნველყოფა;

გარდა ხსენებული პრაქტიკის ობიექტებისა აკადემიას თავის მფლობელობაში გააჩნია საწვრთნელი გემი „კადეტი“ რომელიც ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკის ობიექტად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა აზრით, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, მათი ფუნქციური, სტრუქტურული და პროფესიული დანიშნულებიდან გამომდინარე, შეძლებენ უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტებს პროგრამისთვის საჭირო შესაბამისი მატერიალური რესურსით პრაქტიკის კომპონენტის მიმდინარეობისას. დაწესებულებას კვოტის გაზრდის შემდეგ შეეძლება მიიღოს 45 სტუდენტი, რაც მემორანდუმებით გათვალისწინებულ მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან სრულ შესაბამისობაშია.

*ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის - 45 პროფესიული სტუდენტი - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით;*

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 19 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის პირობების დაკმაყოფილებისთვის დამატებით გააფორმა ხელშეკრულება 9 პროფესიულ მასწავლებელთან. ამ პროფესიული განათლების მასწავლებელთა შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 8 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია, რაც ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში იქნა გადამოწმებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

*<u>გამომდინარე აქედან, ექსპერტთა მოსაზრებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ‘’გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია’’ განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>*

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლისა და გასაურების შედეგებიდან ირკვევა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

დაწესებულებას 2021 წლის 26 ნოემბერს შემუშავებული აქვს “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის, შრომის ანაზღაურების გაცემის“ მარეგულირებელი წესი ND 02-015-01, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მათ უფლება-მოვალეობებს. ყველა პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ასევე გაწერილია მასწავლებლის უფლება მოვალეობები. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ინტერვიურების დროს დადგინდა, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების შიდა ტრენინგებს, საჭირო რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევას და მხარდაჭერას და ხდება მასწავლებელთათვის სწავლებისა და შეფასების მიდგომების გაცნობა და ამასთან დაკავშირებით აქვთ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. თუმცა, ექსპერტთა აზრით, გამომდინარე იქედან რომ პროგრამას ჰყავს ახალი პედაგოგები და გასაუბრების შედეგებიდანაც ჩანს რომ ზოგიერთ მათგანი კარგად არ იცნობს სისტემის თავისებურებებს, არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია და საჭიროებენ დამატებითი სახის ტრენინგებს ისეთ თემებზე, როგორიცაა: სწავლების ეფექტური მეთოდები პროფესიულ განათლებაში, შეფასების სიტემა, სასწავლო პროცესი, ინსტრუმენტისა და მტკიცებულების გამოყენება, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში თუ სხვა.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა აზრით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას, თუმცა, ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის დამატებითი ტრენინგების ჩატარება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება განხილული დოკუმენტაციითა და გასაუბრების საფუძველზე.

დაწესებულების სენატის მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის, შრომის ანაზღაურების გაცემის" მარეგულირებელი წესი ND 02-015-01, მე-3 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე პირი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის გამოცდილება. ამავე მუხლში პუნქტობრივადაა გაწერილი პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციაში, ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში, პრაქტიკის განხორციელებაში და სხვ.

*<u>გამომდინარე აქედან, დაწესებულების სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით N16/6 დანიშნული პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, აქვს დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**5. წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია პროგრამაში ჩამოთვლილ სასწავლო რესურსთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ვიზიტის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორის შემოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შეფასდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა, რის შედეგადაც დადგინდა რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' მითითებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ფოთის, ასევე ბათუმის მისამართზე არსებულ სამკითხველო ოთახებსა და ელექტრონულ ბაზებში. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამაში აღნიშნული სხვადასხვა ლიტერატურა შერჩევითი სახით და დათვალიერებულ იქნა აკადემიის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი როგორც ფოთის, ასევე ბათუმის მისამართზე, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და საგანმანათლებლო რესურსებით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ND2-F08, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სენატის გადაწყვეტილებით 2020 წლის 24 ივლისს. დოკუმენტი განსაზღვრავს, რეგისტრაციის წესებს, მკითხველის ვალდებულებებს, ლიტერატურით სარგებლობის წესებს, დარბაზში ქცევის წესებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

დაწესებულებაში გარდა მატერიალური სახისა, რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულადაც. პროფესიულ სტუდენტებს აკადემიის ვებ-გვერდის საშუალებით წვდომა აქვთ, როგორც ფოთის ასევე ბათუმის განყოფილებებზე. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზებით სარგებლობისათვის მკითხველი ვალდებულია ჩაეწეროს ბიბლიოთეკაში, სადაც მას მიენიჭება ინდივიდუალური კოდი, რომლითაც მას შეეძლება შევიდეს სისტემაში და ისარგებლოს ელექტრონული სერვისებით. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში დაინტერესებულ პირს ასევე შეუძლია სასურველ რესურსზე მდებარეობის შემოწმება, დაადგინოს თუ რომელ მისამართზეა ხელმისაწვდომი ესა თუ ის რესურსი მატერიალურად. წიგნი ბათუმში აკადემიის ბიბლიოთეკაშია განთავსებული, თუ ფოთის ბიბლიოთეკაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*<u>გამომდინარე აქედან, აკადემიის მიერ წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია პროგრამაში ჩამოთვლილ სასწავლო რესურსთან, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>*

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ მიუღია სსსმ პირი, შესაბამისად არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით და მარეგულირებელ წესის გათვალისწინებით, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს თანაბრად ხელმისაწვდომი განათლება, პირის/პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. რაც გულისხმობს მათ საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ადაპტირებული სასწავლო გარემოს მოწყობას და პირობების შეცვლას, რომელიშიც სასწავლო ფართის ადაპტირების გარდა მოიაზრება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ან/და დამატებით სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება.

ამასთან დაკავშირებით, აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ფარგლებში ასევე გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში მონაწილე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. წესის მიხედვით, ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მასწავლებელი გამოიყენებს სწავლების განსხვავებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს, საჭიროების შემთხვევაში-დამატებით ადაპტირებულ ტექნიკური აღჭურვილობასა და ინფრასტრუქტურას, საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალასა და ნედლეულს, შეცვლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია დაწესებულებამ აღნიშნულ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო პროცესში შესაბამისი სპეციალისტების: - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სსსმ პროფესიული სტუდენტის ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის, ჩართვა. სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად)

*<u>როგორც აღინიშნა, დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტაციის პრაქტიკა, მაგრამ რეგულაციის განხილვისა და დაწესებულების წარმომდგენლებთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა მოსაზრებით, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია შეძლებს უზრუნველყოს სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობა და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად</u>*

*<u>ინდიკატორის ფარგლებში კი, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სსსმ პირებისთვის, სასწავლო პროცესში შესაბამისი სპეციალისტების: ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*სტუდენტის ასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების ჩართვა, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, გაითვალისწინოს, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად).*

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' განხორციელების მდგრადობა, რაც დასტურდება წარმოდგენილი ბიუჯეტის შეფასების საფუძველზე.

პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის გადასახდელი ვაუჩერული და პროგრამული სწავლის საფასურით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სხვადასხვა ხარჯებს, პროგრამულ და ინსტიტუციურ დანახარჯებს, როგორებიცაა: პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, შრომის ანაზღაურება აკადემიური და საათობრივად მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, სახარჯი მასალების ღირებულება, მივლინებების ხარჯები, კომუნალურ და სხვა დანახარჯები. პროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრულია ასევე რენტაბელობის ზღვარი, რომელიც შეადგენს 13 პროფესიულ სტუდენტს.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქედან, აღნიშნული ინდიკატორი სრულიად დაკმაყოფილებულია და დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია''
- მატერიალური და სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლებელთა პირად საქმეებში დაცული დოკუმენტაცია
- ''პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'' დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის № 10/10 გადაწყვეტილებით
- ''პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი''დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 10 მაისის № 8/6 გადაწყვეტილებით
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ცნობები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულებები
- სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის N 16/2 გადაწყვეტილება ''პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი'';
- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოხსენებითი ბარათი N 2530
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- ელექტრონული ბიბლიოთეკა ვებ - გვერდზე: https://library.bsma.edu.ge/
- ''პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების / ინტერვიუირების შედეგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

დაწესებულების სასწავლო და კალენდარული გეგმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას სასწავლო გეგმის ფარგლებში, გაწერილი აქვს რომელ კვირაში რომელი მოდული უნდა განხორციელდეს და ასევე ვინ არის განმახორციელებელი მასწავლებელი, საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით. ხოლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დამაკმაყოფილებელია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. კერძოდ, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროფესიულ სტუდენტთა ყოველკვირეული საათობრივი დატვირთვები და დროის შუალედები სტუდენტთა განმეორებითი შეფასებისთვის.

*<u>ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმის მიხედვით.</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე დაწესებულებაში სწავლა მიმდინარეობს ჰიბრიდული მეთოდით, რადგან დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ მოხდება სრულად დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, თუმცა შეძლებისდაგვარად გარკვეული მოდულების სწავლება მიმდინარეობს ელექტრონულად.

სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროფესიულ მათარ შექმნიათ პრობლემა დისტანციური სწავლების დროს. დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებს შესთავაზა დახმარება ინტერნეტის ან კომპიუტერის არქონის შემთხვევაში. გარდა ამისა, რადგან სხვადასხვა მოდულის კომპონენტები ხორციელდება როგორც ბათუმის, ასევე ფოთის ლოკაციებზე, საჭიროების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს მათ ტრანსპორტირებას.ასევე დაწესებულება მოქნილია ინდივიდუალურ გეგმების შედგენის დროს. 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს გარკვეულ მექანიზმებს, განსაზღვრავს სასწავლო პროცესის წარმართვას ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით როგორც შშმ პირებისთვის, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუბრუნდნენ სასწავლო პროცესს, მობილობით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტებისთვის, წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარების და სხვა შემთხვევებში.

*<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს, რაც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა.</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

დაწესებულება ფართოდ იყენებს პროფესიული პროგრამის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციისათვის“ თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას მფლობელობაში გააჩნია სხვადასხვა საგემბანე სიმულატორი, რომელთა საშუალებით შესაძლებელია გემბანის ხიდურის რეალური მდგომარეობის ინსცენირება, შესაფერისი დავალებების შექმნა სხვადასხვა ქეისის გამოყენებით, რაც ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების მიღწევაში. დაწესებულებას ასევე გააჩნია ინგლისური ენის ლინგოფონის კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფს ინგლისური ენის სამივე უნარის კითხვის, მოსმენის, საუბრის შესწავლას. კაბინეტებში თვალსაჩინოებისთვის განთავსებულია სპეციალური პლაკატები თუ პოსტერები, დაწესებულებას აქვს ელექტრონული რუქების სიმულატორი.

*<u>გამომდინარე აქედან, ესქპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში, სასწავლო პროცესში იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიებს.</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული საჭიროების წინაშე არ დამდგარან, ასევე პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ მიუღია სსსმ პირი, შესაბამისად არ დამდგარა მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა, რომელსაც შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, რომელიც მოხსენებითი ბარათით დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიის კურატორ მოადგილეს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები, მარეგულირებელი წესის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს. აკადემია შეძლებს უზრუნველყოს სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობა და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის წარმართვას ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით როგორც შშმ პირებისთვის, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუბრუნდნენ სასწავლო პროცესს, მობილობით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტებისთვის, წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარების და სხვა შემთხვევებში.

*<u>შესაბამისად, ექსპერტთა აზრით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მფლობელობაშია გემი ''კადეტი", რომელიც ასევე გამოიყენება როგორც პრაქტიკის ობიექტი, თუმცა, გარდა ამისა, დაწესებულება პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორ დაწესებულებებთან. აკადემიას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს:

- ბლექ სი შიპინგი - წლის განმავლობაში 60 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უზრუნველყოფა;
- გემი სი სტარი - წლის განმავლობაში 60 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უზრუნველყოფა;
- ფოთის საზღვაო ნავსადგურთან - 30 პროფესიულ სტუდენტზე პრაქტიკის უზრუნველყოფა;
- ჰიდროგრაფიის სამსახური - 15 პროფესიულ სტუდენტზე პრაქტიკის უზრუნველყოფა;

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აღნიშნულია პროგრამა და ის მოდულები, რომელთა სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე, ასევე ვალდებულება უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან. გასაუბრების შედეგად დადასტურა პრაქტიკის ობიექტის მზაობა პროფესიული სტუდენტების მისაღებად და მათი უზრუნველყოფა სწავლის პროცესისთვის საჭირო ადამიანური თუ მატერიალური რესურსით.

*<u>გამომდინარე აქედან, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დაწესებულების სამუშაო (სიმულაციურ) გარემოში დაცულია უსაფრთხოების წესები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით (ასეთი სპეციფიკის არსებობის შემთხვევაში)

პროფესიული პროგრამა „გემის საგემბანე ექსპლუატაციის“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა პრაქტიკული წვრთნების განხორციელებას. დაწესებულებას პრაქტიკის ყველა ობიექტზე განთავსებული აქვს უსაფრთხოების წესები შესაბამისი პრატიკული წვრთნების უსაფრთხოდ განხორციელებისთვის. პრაქტიკის ხელმძღვანელები სტუდენტებს წინასწარ აცნობენ აღნიშნულ წესებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- პრაქტიკის განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ.ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის N 10/10 გადაწყვეტილება);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის № 10/10 გადაწყვეტილებით. მარეგულირებელი წესის თანახმად, გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში გამოყენებამდე გადის ვალიდაციას, რათა შემოწმდეს შეფასების ინსტრუმენტის როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მხარე. დაწესებულებაში შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

დაწესებულების რეგულაციის ფარგლებში გაწერილი აქვს თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების სისტემა, რათა ის იყოს ვალიდური, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე და სანდო. მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების პროცესის ვერიფიკაციამ უნდა დაადასტუროს, რომ:

ა) შეფასების <u>სისტემა სანდოა და გამჭვირვალე,</u> თუ შეფასების შესახებ ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის;

ბ) <u>ობიექტურია</u>, თუ ყველა შესაფასებელი პირი იმყოფება თანაბარ პირობებში;

გ) <u>სამართლიანია</u>, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ შესაფასებელ პირს საშუალება ეძლევა დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები, მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა. ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

7. ვერიფიკაციის მიზნებისათვის, მტკიცებულება უნდა იყოს **ვალიდური,** ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მარეგულირებელი წესის ფარგლებში, დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს განმეორებითი შეფასების პროცედურა და წესი, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ასევე განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციასთან დაკავშირებული საკითხები.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;*

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

შეფასების პროცესის ვერიფიკაციამ უნდა დაადასტუროს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ვერიფიკაციის შედეგებს არ აქვს გავლენა სტუდენტის შეფასებაზე და მის შედეგებს უნდა მოყვეს შეფასების სისტემის შესაბამისობისა, გაუმჯობესების გეგმის შედგენა ან/და გაუმჯობესება.

აკადემის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ვერიფიკაციის სისტემა გულისხმობს:

ა) შეფასების ინსტრუმენტების შეფასებას;
ბ) შეფასების პროცესის შეფასებას;
გ) შეფასების მტკიცებულების შეფასებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შერჩევის მექანიზმებს (რისკების სისტემას), ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, ვერიფიკაციის პროცედურას. ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, განსაზღვრავს ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდს, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ყველა შემადგენელ პროცედურას.

ვიზიტის დროს, დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე არ ჰქონდა ჩატარებული ვერიფიკაცია, არ განუხორციელებია მისი შეფასება, თუმცა ამასთან დაკავშირებით წარმოადგინა ვერიფიკაციის ჩატარების გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია აქვს ვადები, რომლის ფარგლებშიც მოხდება პროგრამაში ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' შემავალ მოდულებზე ვერიფიკაციის განხორციელება.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.*

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის შესრულების მტკიცებულებები, რომლებიც აღირიცხება ელექტრონულად, ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით. ხოლო კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება, ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.

*შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით*

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის**

ინდიკატორის შეფასების ფარგლებში, უნდა აღინიშნოს რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელს აქვს დარგობრივი ცოდნა/გამოცდილება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლით ირკვევა, რომ შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიული სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების ინსტრუმენტით მოდულის შესრულების კრიტერიუმების თანახმად, მოდულის მისაღწევი შედეგების, შესრულების სპეციფიკისა და შეფასების მიზნებიდან გამომდინარე. მოდული ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასების მიზნებიდან გამომდინარე მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:
ა) შეიმუშაოს მოდულის შეფასების ინსტრუმენტი;
ბ) გააცნოს სტუდენტს მოდულის მისაღწევი შედეგები, განხორციელების სპეციფიკა, შეფასების წესი და კრიტერიუმები;
გ) შეაგროვოს მტკიცებულებები ცენტრში წარსადგენად.

შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს ინდივიდუალურად (უშუალოდ, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო შეტყობინების ფორმით, საინფორმაციო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი გვერდი | 29 დაფის საშუალებით) 3 სამუშაო დღის ვადაში.
პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას დაადატურეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, ხოლო შეფასებებთან დაკავშირებულ უკუკავშირს ისინი იღებემ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ინდივიუალურად, განსაზღვრულ ვადებში.

*<u>გამომდინარე აქედან, ექსპერტთა აზრით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის</u>*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაცის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები
- განსახორციელებელი ვერიფიკაციის გეგმა
- პროფესიულ სტუდენტთა უწყისები და შეფასების მტკიცებულებები
- ინტერვიუს  შედეგები პორფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 17.02.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: